6 თვემდე სანაშენე (სარემონტო) ხბოს გამოზრდა

მესაქონლეობის განვითარების უმთავრეს პირობას ჯანსაღი ხბოების მიღება და სანაშენე – სარემონტოდ გამოზრდა წარმოადგენს. ნებისმიერმა მესაქონლემ თუ ფერმერმა უნდა გაითავისოს, რომ კარგი ხარისხის ხბოს მიღება შეუძლებელია მისი მოვლა–შენახვისა და კვების ოპტიმალური პირობების შექმნის გარეშე.ცხოველის სანაშენე პროდუქტიულ თვისებებზე ზრუნვა იწყება ფურის განაყოფიერების დღიდან. დადგენილია ,რომ განაყოფერებიდან პირველ 34–35დღეზე ნაყოფის მასა 600–ჯერ იზრდება, ხოლო 61 დღიდან მიმდინარეობს მისი ბიოლოგიური სისტემის შემდგომი გარდაქმნა. აქედან გამომდინარე აუცილებელია ვიცოდეთ ევროპის ქვეყნებში სანაშენე ხბოს გამოზრდის მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკულად აპრობირებული სქემა. ამ სქემის მიხედვით: ხბოს დაბადებიდან პირველ პერიოდში აძლევენ ხსენს, მისი ცოცხალი წონის 1/5–1/6 რაოდენობით 7–9 დღის განმავლობაში. (ხსენი აუცილებელია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გაწმენდისა , საჭმლის მომნელებელ სისტემაში სასიცოცხლო მიკროფლორის შექმნის, დაავადების გამძლეობის და იმუნიტეტის გამომუშავებისათვის)

6– თვემდე სანაშენე ხბოს გამოზრდის სანიმუშო სქემა

თვე	დეკადა	ცოცხალი მასა თვის ბოლოს კგ	საკვების დღიური ნორმა ფიზიკური სახით			
			რძე	კონცენტრატი	თივა	სიმინდი პარკოსანი სილოსი
1	1		4,5	–	0,1	–
	2		5,0	0,4	0,3	–
	3	40	4,5	0,7	0,5	–
2	4		4,0	1,0	0,7	–
	5		3,5	1,0	0,8	–
	6	55	2,5	1,0	0,8	–
3	7		1,0	1,0	0,8	–
	8		1,0	1,0	1,0	–
	9	70	0.5	1,3	1,0	მიჩვევა
4	10		–	1,3	1,3	1,0
	11		–	1,3	1,3	2,0
	12	85	–	1,3	1,5	2,5
5	13		–	1,3	2,0	3,0
	14		–	1,2	2,5	3,5
	15	100	–	1,2	2,5	4,4
6	16		–	1,0	3,5	5,5
	17		–	1,0	3,5	7,0
	18	115	–	1,0	4,0	8,0

საკვების დანახარჯები 6 თვის განმავლობაში (კგ)

საკვები ერთეულები კგ.	265	180	261	364
	90,1	180	122,7	58,2

ზემოთ აღნიშნულ სქემაში ადრე გამოყენებულ სქემებთან შედარებით 35 კგ–თ ნაკლები რძეა გამოყენებული. რაც შეეხება რძის შემცვლელს მისი მიცემა რეკომენდირებულია 1–თვის შემდეგ შეჩვევით სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, ხოლო კონცენტრატი აუცილებელია წვრილი ღერღილის სახით მიეცეს ქერის, შვრიის. მზესუმზირის კოპტონის ნარევი შემდეგი თანაფარდობით 45–25–30%.